საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მგალობლიშვილი გრიგოლ (გეგა) ზურაბის ძე

მგალობლიშვილი გრიგოლ (გეგა) ზურაბის ძე (დ. 7. X. 1973, თბილისი), პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი (2008–09). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი; 1992–93 სწავლობდა სტამბოლის (თურქეთი) უნ-ტში. 1998 მიიღო ნატოს თავდაცვის კოლეჯის დიპლომი (რომი). 2002–03 გაიარა სპეციალიზებული დიპლომატიური კურსი ოქსფორდის (დიდი ბრიტანეთი) უნ-ტში; 2008 – უსაფრთხოების საკითხებზე უმაღლესი კურსები ჰარვარდის უნ-ტის ჯ. კენედის სახ. სახელმწ. მმართველობის სკოლაში (აშშ).

1996-იდან მუშაობდა საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე. იყო თურქეთის რესპ. საქართვ. საელჩოს I მდივანი, შემდეგ მრჩეველი (1998–2002), საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის მრჩეველი, აშშ-ის, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი (2002–04). 2004-იდან იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში, ალბანეთსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში, 2009–13 – საქართვ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნატოში და საქართვ. მისიის ხელმძღვანელი, 2014–15 – ეროვნ. თავდაცვის უნ-ტის მოწვეული პროფესორი (ვაშინგტონი, აშშ). 2015-იდან არის ეროვნული თავდაცვის კოლეჯის პროფესორი (აბუ-დაბი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები).

ლიტ.: ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ., დამოუკიდებელი საქართველოს ელჩები, 1991–2021, ნაწ. 1, თბ., 2021.